პარასკევი, 17 აგვისტო 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 179

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილებით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

## „ისრი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხელის ფულს. პირველ აგვისტოდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 80 კ. მეტი.

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—3 მ. 50 კ. ტფილისს გარედ—4 მ. საზღვარ-გარედ—5 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

[stamp] ?/i-65 № 1

---

**ეკატერინე თეიმურაზის ასული და დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილი შვილებით და ქეთევანა თეიმურაზის ასული რეხვიაშვილისა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფასის და დაუვიწყარის ძმის, მეორენი—ცოლის ძმის და ბიძის ქუთაისის ქალაქის თავათ ნამყოფის

### ლუარსაბ თეიმურაზის ძის ლოლუასას.

ცხედარს გამოასვენებენ დავით აბდუშელიშვილის სახლიდან ქუთაისში კვირას, 19 აგვისტოს, დილის 9 საათზე, ალექსანდრე ნეველის საკრებულო ტაძარში და შემდეგ დაკრძალვენ საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ-დღე საღამოს 6 საათზე. (2—კვ—1)

---

**ფეოდოსია, მარიამ, ნიკოლოზ, პოლიკარპე, ალექსანდრე, ნინო და მარიამ იოსელიანები, ასინეთა და რამინ ლომინაძენი,** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 18 აგვისტოს,

### კონსტანტინე ნიკოლოზის ძის იოსელიანის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქუთაისში მთავარ ანგელოზის ეკკლესიაში გარდახდილი იქნება წირვა და შემდეგ პანაშვიდი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (1—246—1)

---

# „ფუნიკულერის" რესტორანში

ყოველ-დღე უკრავს სიმებიანი ორკესტრი, საღამოს 6 საათიდან ღამის 12 საათამდე. ა. სანოროს ლოტბარობით. (20—193—17)

---

ექიმი
**ვ. ხ. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დ. ლ. ს 9—$11^{1}/_{2}$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

---

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

---

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (28—228—18)

---

ექიმი
**ე. გაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—00)

---

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—161)

---

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**

**ქალთა და ყრმათა.** ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 9—10 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

---

ელექტროთერაპიული
### კაბინეთი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ნერვებით ავადმყოფთ დილის 12—1 ს. საღ. 6—7 ს. ვერაზე ყორღანოვის ქუჩა, 20. ტელ. 791. (25—6.—11)

---

ჟაჟბების ქალთა
### პროგიმნაზია

აცხადებს, რომ ყმაწვილების მიღება დაიწყება 23 აგვისტოს დილის 10 საათიდან 12-დე.

სასწავლებელი იმყოფება იმავე შენობაში, ამირაჯიბის სახლში, ოლგას ქუჩიდან თაიროვის ვიწრო ქუჩის შესახვევში. (3—უ.—3)

---

### ქუთაისის
საქალებო სასწავლებელი წმ. ნინოსი

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები დაიწყება ოცდა ერთ ამა მდგომარე მარიამობისთვიდან. თხოვნები მიიღება ყველა კლასებში, გარდა მეხუთისა და მეშვიდისა, რომლებშიაც თავისუფალი ადგილი არ არის. (3—6.—3)

---

გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი:

### ჩვენი მწერლობა

სალიტერატურო ქრისტომატია საშუალო სასწავლებელთათვის.

**ნაწ. I: მგოსნები.**

ბიოგრაფიებით და ლექსიკონით შედგენილ-გამოცემული

**ს. რ. გორგაძის მიერ.**

ფასი უყდოთ **ათი შაური** იყიდება „ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა) და შემდგენელთან: ტფილისი, ვერა, არაგვის ქუჩა № 8, ეგაძის სახლი.

ფოსტა-ტელეგრაფის ადრესი: Тифлисъ Арагвинская улица № 8, Сергѣю Романовичу Горгадзе.

ვინც შემდგენელისაგან ერდროულათ ათსა და მეტ ცალს იყიდის, თვითეული წიგნი დაეთმობა **ცხრა შაურად.** წიგნის მაღაზიებს წიგნი ეძლევათ ჩვეულებრივის 20%-ის დათმობით. (10—6.—8)

---

ფოთის საბუღალტერო
### კურსები
**კ. გიგინეიშვილისა.**
(წელიწადი მერვე)

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა იწყება 1 ენკენისთვიდან. მსურველთ პროგრამმები გაეგზავნებათ მუქთად. ერთი წლის და ორი თვის განმავლობაში როგორც კაცი, ისე ქალი ღებულობს კურსებზე საფუძვლიანათ სავაჭრო განათლებას როგორც თეორეტიულს, ისე პრაქტიკულს გერმანელ და ინგლისელ სავაჭრო სკოლების სისტემით. (8—6.—6)

---

ყოფილ წევრების
### საყურადღებოდ.

ნაძალადევის სამკითხველოს გამგეობა ერთხელ კიდევ უმორჩილესათ სთხოვს იმ პირებს, რომლებსაც გატანილი აქვთ წიგნები, დაუყოვნებლივ დააბრუნონ, უკიდურეს შემთხვევაში გამგეობა მათ გვარებს და სახელებს გამოაქვეყნებს გაზეთებში და გაზეთებისავე საშუალებით მოსთხოვს პასუხს. გამგეობამ გადასწყვიტა უკიდურეს ზომებს მიმართოს, ვინაიდან ნაძალადევის სამკითხველო ცუდ პირობებშია ჩავარდნილი უწიგნობის გამო. რამდენიმე ასი ცალი საუკეთესო წიგნი არის წაღებული და უკან არ აბრუნებენ.

კრების მინდობილობით **ფილა ციმბირელი.**

---

### საჩქაროდ საჭიროა

„ივერიის" №№ 176, 181, 183, 184, 185, 187 (1905 წლ.) და „ცნობის ფურცლის" №№ 2919, 2920, 2925, 2929, 2930 და 2931 იმავე წლისა. ვისაც ზემო აღნიშნული ნომრები აქვს, ვთხოვთ მოიტანოს „ТиФл. Лист."-ის რედაქციაში, რისთვისაც კარგ სასყიდელს მიიღებს.

---

**ბალი-რენესანს.**
(მიხეილის პროსპექტი)

კვირას, 19 აგვისტოს, გაიმართება

### სეირნობა

**სტუდენტების დამხმარე კავკასიის საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად**

დასაწყისი ნაშუადღევის 5 საათზე.

დაწვრილებითი პროგრამა სეირნობისა გამოცხადებული იქნება. (3—უ.—1)

---

დაიბეჭდა და მალე გამოვა **ივ. გომელაურის-მიერ** შედგენილი

სკოლებში შესასწავლი

### ქართველი მწერლები

მათი სურათებით და ბიოგრაფიებით.

**მეორე** გამოცემა შევსებული და შესწორებულია. (5—6—1)

---

სოფელ წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო

### სასწავლებელში.

პირველ სექტემბერს ამა წლისას, გამოცდის შემდეგ, იქნებიან მიღებულნი თოთხმეტი წლის ჯანმრთელი ყმაწვილები. ყმაწვილებს უნდა ჰქონდეთ ქალაქის ოთხ კლასიან სკოლის პროგრამით დასრულებული სწავლა და ცოდნა.

სამეურნეო სკოლაში სწავლა სამი წელიწადი იქნება. ორი წლის განმავლობაში სწავლა მოსწავლეთ მიეცემათ თეორეტიკულათ და ვარჯიშობით კლასში, ფერმაზედ და სახელოსნოში, მესამე წელს-კი მარტო ვარჯიშობით ფერმაზედ და სახელოსნოში.

მოსწავლენი სკოლაში გარეშე მოსიარულენი იქნებიან და უსასყიდლოდ მიეცემათ მათ სწავლა. მოსწავლენი დაუბრკოლებლივ უნდა ემორჩილებოდნენ იმ წესს, რაც სკოლაში მიღებულია.

მზრუნველი სკოლისა **ი. წინამძღვრიშვილი.** (3—უ—2)

---

მესამე სახელმწიფო სათათ.
არჩევნების გამო.

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** საყოველთაოდ აცხადებს, რომ მის მიერ შედგენილი საარჩევნო სიები მესამე სახელმწიფო სათათბიროსთვის არჩევნების მოსახდენად ორი კვირის განმავლობაში გამოკიდულნი იქნებიან 16 აგვისტოდან ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა, დილის 11 საათ. ნაშუადღევს 2 საათამდე და საღამოს $7^{1}/_{2}$-დან 9 საათამდე.

ამასთანავე გამგეობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ საჩივარი და პრეტენზია, თუ ვინიცობაა სიები სწორედ არ არის შედგენილი, უნდა გამოცხადებულ იქმნას ზემოაღნიშნულ ვადის განმავლობაში სამაზრო საარჩევნო კომისიაში (მუხ. 73 საარჩევნო დებულებისა 3 ივნ. ა. წ.) (3—6—2)

---

მთავრობის ნებართვით პირველ ენკენისთვიდან 1907 წლის

ხონში იხსნება ქალების კერძო

### სასწავლებელი

პირველის ხარისხისა (გიმნაზიის კურსით) მეხუთე კლასიდან. ვისაც სურს მეხუთე კლასში შესვლა, თხოვნა და საჭირო საბუთები უნდა წარადგინოს ხონის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის ა. ბ. ჭიჭინაძის სახელზე. მისაღები გამოცდა დანიშნულია 31-ს მარიამობისთვეს, სწავლა დაიწყება 3-ს ენკენისთვეს. (4—6.—2)

---

## ტფილისი, 17 აგვისტო

ინგლისის ლორდთა პალატამ, წინაალმდეგ ჩვენის წინასწარმეტყველებისა, სულგრძელობა და გამჭრიახობა ვერ გამოიჩინა: ლიბერალურ სამინისტროს არ გაჰყვა და იმდენად დაამახინჯა აგრარული პროექტი (უკეთ ვთქვათ—პროექტები, რადგან მთავრობას წარდგენილი აქვს ცალკ-ცალკე პროექტი ინგლისისა, ირლანდიისა და შოტლანდიის შესახებ), რომ კემბბელ-ბანერმანი იძულებული გახდა გაეცხადებინა, ამ სახით კანონპროექტს ვერ მივიღებთო. თუ როგორ მიეგებნენ ლორდები მთავრობის სააგრარო გეგმას, შოტლანდიის შესახების კანონპროექტის ბედი გვიჩვენებს.

მკითხველთ თუ ახსოვთ, ინგლისის მთავრობის აგრარულ პროექტების მიზანია—შექმნას მთელს ბრიტანიაში წვრილი მიწათ-მფლობელობა, რისთვისაც იძულებით გამოსყიდულ უნდა იქმნას მიწა ლენდ-ლორდებისაგან და იგი იჯარით გადაეცეს უმიწაწყლო ან მოიჯარადრე-გლეხთ. ეს საერთო პლანი მთელ ბრიტანიის შესახებ სხვა და სხვა ნაირად სრულდება (პროექტით) თვით ინგლისსა, ირლანდიასა და შოტლანდიაში, იმის მიხედვით, თუ როგორია ადგილობრივი პირობები მიწათმფლობელობის ან, საზოგადოთ, პოლიტიკური. მაგალითად, თვით ინგლისში მთელ აგრარულ პროექტის განხორციელება და ხელმძღვანელობა ევალება ადგილობრივ თვითმართველობას, შოტლანდიაში კი ეს საქმე ებარება განსაკუთრებულად არჩეულს საგრარო კომისიებს. ეს განსხვავება იმით აიხსნება, რომ თვით ინგლისში ადგილობრივი თვითმართველობა დემოკრატიულია, ხალხის ხელშია, მაშინ როდესაც შოტლანდიაში—ერობა ჯერ ისევ მსხვილ მემამულეთა განკარგულებაშია; რასაკვირველია, პირველში შეიძლება აგრარულ პლანის განხორციელება მიენდოს ადგილობრივ თვითმართველობას, ხოლო შოტლანდიაში ეს არ შეიძლებოდა, რადგან, უეჭველია, ლორდების ერობა ხელს არ შეუწყობდა ათვალწუნებულ გეგმის ასრულებას... სწორედ ამ განსხვავებას ჩასჭიდეს ხელი ლორდთა პალატაში. ჩვენ არ ვართ წინაალმდეგნი აგრარულ კანონპროექტისაო, ამბობდნენ ლორდები, მაგრამ ვფიქრობთ, რომ შოტლანდიაშიც მისი განხორციელება თვითმართველობას უნდა დაეკისროს, როგორც ეს ინგლისისთვის არის განზრახულიო.. ასეთი ვერაგული დამახინჯება ჰსურდათ ლორდებს შეეტანათ მთავრობის პროექტში და ესეც იძულებული გახდა უკანვე წაეღო თავისი პროექტი.

ამგვარად, ინგლისის ლიბერალთა და რადიკალთა დიად რეფორმას წინ გადაეღობა ლორდთა პალატა. ლორდებმა დაუფარავად, აშკარად ანაცვალეს მთელის ერის ინტერესები თავის ვიწრო ანგარულ ინტერესებს. მთავრობა, როგორც დეპეშები გადმოგვცემენ, შემდეგ სესიაში კვლავ აპირებს წარუდგინოს ქვედა პალატას იგივე ბილლი, რათა შემდეგ ხელმეორედ მიიტანოს იერიში ლორდებზე, როცა ქვედა პალატა მეორედ დაამტკიცებს კანონპროექტს. მაგრამ ახლა იმედი აღარაა, რომ ლორდებმა დათმონ. მეორეს მხრით ისიც ცხადია, რომ არც ინგლისის დემოკრატია დასთმობს და გამოეთხოვება იმას, რაც თავის საქმედ და „ისტორიულ მოვალეობად" აღიარა. ინგლისის დემოკრატიამ თავის მოთხოვნათა პირველ რიგში მოათავსა საუკუნეთა იმ უსამართლობის მოსპობა, რომლის ძალით მთელის ბრიტანიის მიწა თითქმის სულ რამდენიმე ას მემამულეს ეკუთვნის, ხოლო რამდენიმე მილიონი მიწათ-მოქმედი უმიწა წყლო მუშად და მოიჯარადრეთაა გადაქცეული, რომელთა ექსპლოატაციას ლენდლორდთაგან საზღვარი არა აქვს. გამჭრიახმა მთავრობამ მოიწადინა ამ საქმის გასწორება კომპრომისით,—ინგლისის ისტორიის ჩვეულებრივის გზით; მაგრამ ლორდებმა კომპრომისი უარჰყვეს და ამგვარად ომი გამოუცხადეს მთელ ქვეყანას. დემოკრატია, რასაკვირველია, უკან არ დაიხევს და ადვილად შესაძლებელია კომპრომისების მოხდენაზე უარი სთქვას: თავისი აგრარული პროექტი გააფართოვოს და მიწის სრულ ნაციონალიზაციის მოთხოვნამდე მივიდეს. მოხდება ეს ასე თუ არა, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს; მაგრამ მეორე შედეგი ლორდების გაკერპებისა რომ უთუოდ მოსალოდნელია, ეს ცხადია. ჩვენ ვგულისხმობთ დემოკრატიის ბრძოლას თვით ლორდთა პალატის არსებობის წინაალმდეგ.

უკანასკნელ 20—30 წლის განმავლობაში ზედა პალატა შეურყეველ კედლათ გადაიქცა, რომელიც ამსხვრევს და ანადგურებს დემოკრატიის ყველა მისწრაფებას. შესანიშნავად განვითარებულ და გაზრდილ ინგლისის დემოკრატიის წინმსვლელობას შეუწყნარებელი დაბრკოლება გაუჩნდა საშუალო საუკუნეთა ამ ნაშთში. ირლანდიის ჰორმული, სკოლის სრული დემოკრატიზაცია, მუშათა კანონმდებლობის გაფართოვება და ეხლა აგრარული რეფორმა—ყველაფერი შემუსრა იმ დაწესებულებამ, რომელშიაც კანონმდებლობის უფლება ხალხის მიერ არჩეულთ-კი არ ეკუთვნის, არამედ მემკვიდრეობით აქვთ მიღებული „მაღალ წოდების" და „მაღალ მდგომარეობის" პირთ. ასეთი ანახრონიზმი ყველაზედ ნაკლებ ინგლისს შეჰშვენის,—ამ ქვეყანას პოლიტიკურ თავისუფლებისას და განვითარებულ დემოკრატიისას. დღევანდელი ახალი დამარცხება დემოკრატიისა—აგრარულ რეფორმების ჩაშლა,—უეჭველია, გააძლიერებს ბრძოლას ლორდთა პალატის წინაალმდეგ და, ვინ იცის, იქნება ჩვენ იმ დღის მოწამენიც გავხდეთ მალე, როცა ინგლისის პოლიტიკურს ისტორიაში დიადი ცვლილება მოხდეს,—ცვლილება მდიდარ-ნაყოფიერი და საგულისხმიერო არა მარტო დიდ ბრიტანიისთვის, არამედ მთელ განათლებულ კაცობრიობისათვის.

---

### სოც.-დემოკრატები და სამშობლო.

საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე შტუტგარდში უკვე დაიწყო კამათი. პირველი დღეები ერთმანეთის დახვედრასა და გაცნობას მოანდომეს. პირველადვე ცხარე კამათი გამოიწვია მილიტარიზმის საკითხმა. ამ საკითხის გამო ერთმანეთს დაეტაკნენ გერმანიის სოც.-დემოკრატთა მეთაური ბებელი და გერვე. გერვემ თავისი რეზოლიუცია შეიტანა მილიტარიზმის შესახებ. ბებელი, როგორც „რუს. ვედ."-ი გადმოგვცემს, წინაალუდგა ამ რეზოლიუციას.

„გერვე ამტკიცებს,—სთქვა ბებელმა.—რომ პროლეტარიატს სამშობლო არა აქვსო; რომ სამშობლო არსებობს მხოლოდ გაბატონებულ კლასებისათვისაო. ნამდვილად კი დიდი საკითხია, ის, თუ ვის ეკუთვნის სამშობლო. კულტურული ცხოვრება ხალხისა შეიძლება განვითარდეს მხოლოდ სამშობლო ენისა და ნაციონალურ ცხოვრების ნიადაგზე. უაზრობაა გერვეს ის სიტყვები, ვითომ გერმანიის პროლეტარიატისა-

თვის სულ ერთია საფრანგეთი ეკუთვნეს გერმანიას თუ გერმანია საფრანგეთს". შემდეგ ამ სიტყვას წინააღმდეგ ილაპარაკა ჟორესმა. მან სთქვა, რომ სოც.-დემოკრატიის პარტიას არავითარი ნამდვილი ძალა არა აქვს, რომ მას ქვეყნის დაცვა სურს მხოლოდ საარჩევნო ბიულეტენების შემწეობით. გერმანიის პროლეტარიატი გადაქცეულა მაძღარ და გულგრილ „ობივატელებად“, რომელთაც [illegible] და რომელნიც ბრმად ემორჩილებიან [illegible] სამშობლოს კაპიტალისტების შეწყველი [illegible], პროლეტარიატისაგან კი იგი [illegible], რომლის გამოც მან არავითარი [illegible] არ უნდა [illegible].

ბებელს [illegible] ს.-დემოკრატიების მეთაურები ჟორესი და ფოლმარი. ჟორესმა [illegible] ამბობდა, თუ რა მნიშვნელობა აქვს კულტურისთვის ერის არსებობას. [illegible] აზრით, [illegible] მნიშვნელობა [illegible] ფოლმარმა [illegible] მართალია, [illegible] ხალხს [illegible] გულ [illegible] პროლეტარიატს [illegible] ნაკლებ [illegible] ხელს [illegible] სოც.-დემოკრატია [illegible] ინტერნაციონალიზმის [illegible] მაგრამ [illegible] ს.-დემოკრატია [illegible] ინტერნაციონალიზმს [illegible] საუკეთესო [illegible] მეტი არ იქნება, თუ ჩვენებური ს.-დემოკრატები ცოტად მაინც ჩაუკვირდებიან ბებელის, ჟორესის და ფოლმარის სიტყვებს.

## ახალი ამბავი

✦ **თავდასხმა სოჩაში.** სოჩაში 13 აგვისტოს, როგორც სააგენტოს დეპეშა გადმოგვცემს, 5 შეიარაღებული კაცი თავს დაესხა მაცესტინის გოგირდის სამკურნალო წყლებს. გაძარცვეს ავადმყოფები და ფერშალი და მიიმალნენ.

✦ **მუშაობის განახლება.** შუშაში აბრეშუმის ამოსაღებ ქარხნის ივლისში გაფიცულმა მუშებმა მუშაობა განაახლეს.

✦ **სახალხო ლექციები ხოლერის შესახებ.** ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ გადასწყვიტა გამართოს ხოლერის შესახებ ლექციები ქართულს, რუსულსა, თათრულს და სომხურს ენებზე. ამიტომ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა სთხოვს მთავრობისა და კერძო თუ საზოგადო დაწესებულებების უფროსებს და აგრეთვე სახლის პატრონებს, ნება მისცენ მეეზოვეებს, მოსამსახურეებს და სხვებს დაესწრნენ ლექციებს.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** იგზავნებიან: პერმის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე გორში დაპატიმრებული ნიკოლოზ არევაძე—ჰბრალდება ფულის მოკრება სარევოლიუციო აზრით; თელავში დაპატიმრებული გრიგოლ ბეროშვილი და ტფილისში დაპატიმრებული სოლიკო იაშვილი—უნახეს იარაღი. ვ ატკის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე—პეტრე გამცელიძე, გაბრიელ ტატიაშვილი, ზაქარია სტეფანიშვილი, გენო ჯიოშვილი და არშაკ მელიქოვი—ჰბრალდებათ იარაღის ტარება, ფულის მოკრება სოფლებს ნაცარ-გორასა, ზემო-გონსა, სურამსა და მიხაილოვოში. ტფ. გუბერნიიდან იგზავნებიან: ორთაჭალის ბაღების მუშები: სანდრო ნინუა, კონსტანტინე არაველიძე, სანდრო მანჯგალაძე, გერმან ბარამიძე, მინა ხაჩუა, სილვესტრ მენაძე, შალიკო ჩანჩალაშვილი, რეუბენ ხობელაშვილი, მიხო მაწონია, მელქისედეკ რუხაძე, იოსებ ტარელაძე, კონსტ. მელაძე, ალექსი კანაწერიძე, ლავრენტი ძაძაია, კოწია სარჯვა, კონსტ. და ვარლამ გორგაძენი, ერასტი ბარამიძე და ილიკო ტურაშვილი და იოანესიანის აფთიაქის შეგირდი ალექ. რაზამატი. 50 მანეთით დააჯარიმეს სახლისპატრონი ზუბალოვი.

✦ **ქურდი მეეზოვეები.** 14 აგვისტოს, ღამის 3 საათზე, სამი კაცი მისულა მაგისტრალურ ქუჩაზე და რკინის კეტებით დაუწყიათ მტვრევა ნიკოლოზ გუჩმაზაშვილის დუქნის კარებისა. პოლიციელებმა დააპატიმრეს ქურდები, რომელნიც აღმოჩნდნენ მეეზოვენი ანდრია ვოიცეხოვი, მიხეილ გაისინაროვი და ალექსი ლაზარევი.

✦ **სანიტარული მდგომარეობა.** გუშინ ტფილისის გუბერნატორმა, ქალაქის თავმა თავ. ჩერქეზიშვილმა, საგუბერნიო ექიმმა ქიქოძემ, ტფ. პოლიცმეისტერმა ცეხოცკიმ და ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის თანამდებობის აღმასრულებელმა დაათვალიერეს ქალაქის ყველა უბნები სანიტარულ მდგომარეობის გამოსარკვევად.

✦ **პოლიცმეისტრის ბრძანება.** ტფ. პოლიცმეისტერმა გუშინ მიწერილებანი დაუგზავნა პოლიციის მოხელეებს და დაავალა: 1. რომ როდესაც რაიმე საეჭვო ავადმყოფობას შეამჩნევენ, დაუყოვნებლივ აცნობონ უბნის ექიმებს; 2. პოლიციის მოხელეებმა ხშირ-ხშირად უნდა შემოიარონ ხოლმე საპოლიციო უბნები, სავაჭრო და ხილის გასასყიდი ადგილები და სადაც შეამჩნევენ დამპალ ხილს, უნდა მოსპონ; 3. როცა სასანიტარო დასები შემოუვლიან უბნებს, ბოქაულებმა მათ უნდა მოხელენი გააყოლონ; 4. აღეკრძალოთ მცხოვრებთ და ვაჭრებს ქუჩასა და ეზოებში ნარეცხ და ბინძურ წყლის გადაქცევა; 5. მოეთხოვოს პოლიციის მე-10 ნაწილის მცხოვრებთ, გასწმინდონ დაუყოვნებლივ ბაღები და დიდუბის არხი; 6. არსად ქალაქის საზღვრებში არავის არა მიეცეს ნება ნაგვის დაყრისა; 7. ნება არავის მიეცეს მტკვარში მტვრისა და უწმინდურების გადაყრისა; 8. სახლის პატრონებს მოეთხოვოთ ეზო—გარემოების გასუფთავება და 9. მოეთხოვოთ სასტუმროებსა, რესტორანებსა, ტრაქტირებსა, დუქნებსა, სასადილო სახლებსა და ფაბრიკა-ქარხნებში და აგრეთვე სახელოსნოებში მუდამ იყოს ნადუღი და გაციებული წყალი.

✦ **საქველმოქმედო წარმოდგენა.** სოფელ ქარელში (გორის მაზრა) 18 მარიამობის თვეს, საღამოს 7 საათზედ, გაიმართება საქველმოქმედო საღამო სოფელ რუისის (იგივე გორის მაზრა) ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ, მიხეილ დავითის ძის თავად ციციშვილის სახლში.

✦ **მამასახლისის დაჭრა.** 15 აგვისტოს, ღამის 11 საათზედ, ავჭალის ქუჩაზედ ტრამვაით მიმავალ რაჭის მაზრის სოფელ სადმელის მამასახლის გარსევან რატიანს ვაგონში შეუვარდა ორი შეიარაღებული კაცი, ესროლა რევოლვერი და გვერდში დასჭრა. დაჭრილი მამასახლისი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

✦ **მაჰმადიან მასწავლებელთა კრება.** ბაქოში 25 აგვისტოს გაიმართება კრება მაჰმადიანების სოფლის სკოლების მასწავლებლებისა. ამ კრებაზედ მომავალ მასწავლებელს სახალხო უნივერსიტეტის მაჰმადიანთა სექცია ავალებს, გააცნოს კრებას მოღვაწეობა სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებისა და გააგებინოს, რა მნიშვნელობა აქვს სახალხო სამეცნიერო ლექციებს თათრებისათვის.

✦ ოთხშაბათს, 15 აგვისტოს, ნაშუადღევის ორ საათზე დავით გროტიაშვილს დუქანში შეუვარდა სამი შეიარაღებული კაცი, დახლიდან 35 მან. მოიტაცეს და მიიმალნენ. პოლიციამ უცნობნი დააპატიმრა. ვინაობა ვერ შეუტყვეთ.

✦ გელიამინოვის ქუჩაზედ, 15 აგვისტოს, საღამოს 8 საათზედ, უცნობი შეიარაღებულები თავს დაეცნენ მიხეილ მირზაბეკიანცს, წააქციეს მიწაზე, სცემეს ძალზე, 85 მან. აცალეს და მიიმალნენ.

✦ სასამართლოს ქუჩაზე მცხოვრებთ თედორე ეფიმოვმა და ზედაგია ვიგონნაიამ კარბოლის სიმჟავე დალიეს. გრძნობა დაკარგული მოწამლულნი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ შორაპნის მაზრის სოფელ ჯალაურთიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში იქაურ მღვდელს იოსებ ჩახნაიძეს თავს დასცემიან მცარცველები, რომელთაც 400 მანეთის ნივთები და ფული მოუტაცნიათ. მცარცველების ვინაობა ვერ გამოარკვიეს.

✦ გორის ქუჩაზედ 14 აგვისტოს ტფ. მოქალაქემ ვლადიმერ კუნცევმა მიიღო კარბოლის სიმჟავე, რისაგანაც კუნცევი ცოტას ხანს შემდეგ გარდაიცვალა.

✦ 14 აგვისტოს მეტეხის ქუჩაზედ, არუთინ თათულოვის სადალაქოში, ჩხუბის დროს ლუკა ნავრუზაშვილმა მაკრატლით დასჭრა გიორგი ნონიევი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 15 აგვისტოს, საღამოს $9\frac{1}{2}$ საათზედ, ტფ. მოქალაქე ვასილ ბუხოვი ელისაბედის ქუჩაზედ ელექტრონის ვაგონს ქვეშ ჩავარდა და სასიკვდილოდ დაშავდა.

✦ 14 აგვისტოს ღამე ქურდებმა მორგებული გასაღებით გააღეს საწყობი დიტიატკოვსკის ამხანაგობისა ქვაშვეთის ეკლესიის სახლში და გაიტანეს იქიდან 100 მანეთის ნივთები.

✦ 15 აგვისტოს ღამე ვერის დაღმართზე მომავალ მარიამ ელიზბარაშვილს თავს დაეცნენ მცარცველები, წაართვეს 9 მან. 90 კაპ. ფულად და ნივთები 9 მან. ღირებულებისა და მიიმალნენ.

## პრესსა

არჩევნების მოახლოვებისას კიდევ უფრო გაჭირდა ისედაც შევიწროვებული მდგომარეობა რუსულის ჟურნალ-გაზეთებისა. ჯარიმა, არესტი, შრიფტის კონფისკაცია გახშირდა. გაზეთები აღნიშნავენ ამ გარემოებას და თან ბევრი სიამოვნებით იხსენიებს „კონსტიტუციის“ წინა დროს: მაშინ უფრო მტკიცე იყო პრესსის მდგომარეობა და ნაკლებ ხიფათს ველოდითო. პროვინციალურ რუსულ გაზეთებში უფრო ხშირად დეპეშებისა და კორესპონდენცია-ამბების მეტს ვერაფერს შეხვდებით. ამის გამო ერთი გაზეთი მოკლედ და მჭერმეტყველურად სწერს:

იმ მკითხველთა სიყურადღებოდ, რომელნიც გვიჩივიან მეთაურ წერილებისა და ფელეტონების ბეჭდვის მოსპობას: რედაქციას დამზადებული აქვს მშვენიერი წერილები, სახელდობრ: „მზის ამოსვლისა და ჩასვლის შესახებ“, „სატაცურის კულტურა“, „სიყვარულზე“ და სხვა ამგვარები; მაგრამ რედაქციას ვერ გაუბედნია ამ „მდიდარ“ მასალით სარგებლობა და ამიტომ ისევ დეპეშებისა და ახალ ამბების ბეჭდვას ამჯობინებს.

ადმინისტრაციის გარდა, პროვინციალურ რუსულ პრესსის მოღვაწეებს კრიჭაში უდგანან „ჭეშმარიტი რუსებიც“. ელისავეტგრადის გაზეთის ხელმძღვანელს ამ დღეებში [illegible] „ჭეშმარიტ რუსთა“ [illegible] „კამორრისაგან“.

ამით ეცხადება ურიებისაგან მოსყიდულს ალექსანდრე კოვალენკოს, რომ ურიების გაზეთებში სარევოლიუციო აგიტაციის გაწევის გამო მას მიესაჯა სიკვდილით დასჯა.

ასე ორ ფრონტიდან ებრძვიან ამ ჟამად პრესსას და რაღა საკვირველია, რომ გამოახრჩვეს.

* * *

ხანდახან „ნოვ. ვრ.“-საც-კი აშინებს ის მეტად მძიმე რეაქცია, რომელიც ეხლა გამეფდა რუსეთის პროვინციაში. ზოგ ადგილებიდან ისეთი ამბები მოდის, ბრძანებს სუვორინის გაზეთი, რომ შიშისაგან გული გიწვრილდება. აიღეთ მაგალითად ტამბოვის გუბერნია:

იქ ახლა ბრძანებლობენ ისეთი მოღვაწეები, როგორიც ოზნობიშინი და ფილატოვები არიან; ამ ვაჟბატონთათვის **გრინგმუტიც**-კი დიდი ლიბერალია; მაზრებში ისეთი მხეცი „ისპრავნიკები“ ნადირობენ ხალხზე და ნავარდობენ, რომ მათთან შედარებით ძველის დროის პოლიციელნიც-კი იდეალად დაგესახებათ. ერთმა ამგვარმა „ისპრავნიკმა“ ამას წინად, უბრალო მიზეზისა გამო, ორმოცდათუთხმეტის წლის ქალი—ადგილობრივი ფერშალი—300 ვერსის მანძილზე გაგზავნა ფეხით ეტაპით. საერთოდ ამ გუბერნიაში და სხვაგანაც საზოგადოების ერთი ნაწილი და ადმინისტრაცია უბრუნდებიან ძველის რეჟიმის უსასტიკეს მომენტებს...

„ნოვ. ვრ.“-ს არც-კი რცხვენია და ივიწყებს, რომ თვითვე მიუძღვის დიდი ღვაწლი „ძველის რეჟიმის უსასტიკეს მომენტების“ დაბრუნების საქმეში...

## პატარა ფელეტონი

### ჩვენებური ოხუნჯისტები

გურულები მოსწრებულის სიტყვა-პასუხით, ცოცხალის ოხუნჯობით სახელგანთქმული ხალხია. საზოგადოდ კი ჩვენ ხალხს უყვარს ოხუნჯობა, რომელიც ადამიანს დღიურ ჭირ-ვარამს უმსუბუქებს, უგემურ ცხოვრებას შნოს აძლევს, უმარილო ყოფას მარილს აყრის. კვირაობით, როცა ტფილისის ქუჩებში დავდივარ, ხშირად ვხედავ მუშების ხელში საოხუნჯო ჟურნალს „შუამავალს“, რომლითაც ისინი მოსწრებულ სიტყვას წყურვილს იკლავენ. ვსინჯავ ამ ჟურნალს და, სწორედ მოგახსენოთ, სევდა მეფინება გულს. იმას ნამდვილი თავის შესაფერი სახელი მიუთვისებია: სწორედ მოსწრებულის სიტყვა-პასუხის და ოხუნჯობის შუა მავალია,—არც ერთისა და არც მეორესი არაფერი სცხია. შეუდგები თუ არა კითხვას,

## ფელეტონი

### პასუხი განუსჯელთადმი

(შემდეგი *)

დიახ, ბატონო ახალ-მოდის ანარქისტო, მე ქართველი ანარქისტი ვარ, საქართველოში მოქმედი, მე, როგორც ამგვარი, ვქადაგებ საქართველოს ყოველ მხრივ თავისუფლებას და მის განსაკუთრებულ ცხოვრების შეერთებას სხვა ერებთან. თქვენ კი მეუბნებით—ქვეყნიერებას არა უშავსრა, მთელი კავკასია რომ ზღვად აქცესო! **ну и дуракъ**,—ამის მეტი რაღა უნდა გითხრათ კაცმა ამის შემდეგ! საფრანგეთიც რომ დაიღუპოს, გერმანიაც, ინგლისიც, რუსეთიც, შეიძლება არც მაშინ უშავდესრა დედა-მიწის ღერძს, მსოფლიო ისტორიის კურსს (თუმცა ძლიერ საეჭვოა!) და თქვენ მეტაფიზიკურ კაცობრიობას, მაგრამ ამიტომ ფრანგმა, ინგლისელმა, გერმანელმა და რუსმა ის დასკვნა უნდა გამოიყვანონ, რომ დაე დაიღუპოს ყველა ის ქვეყანა, ჯანაბამდის გზა ჰქონია,—კაცობრიობა და სოციალიზმი მაინც იარსებებენო? რაღა კაცობრიობა, რაღა სოციალიზმი, ვიღასთვის,—ამას აღარა კითხულობთ? თუ ისიც არ იცით, რომ საფრანგეთში, ინგლისში, რუსეთში და გერმანიაში ლაპარაკობენ ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და რუსულ წარმატებაზედ, სიმდიდრეზედ, ლიტერატურაზედ, კულტურაზედ, მოძრაობაზედ და სოციალიზმზედ? რუსეთის საუკეთესო წევრები იმას არა ჰყვირიან, რომ რუსეთი დაიღუპა, ასე გასინჯე ჩვენებიც კი იკლავენ თავს, რომ რუსეთის სახელმწიფო, ჩვენი სამშობლო დაიღუპოს და მიუხედავად მათი არა-მკითხაობისა, მაინც გარედა ჰყრიან მათ თავ-მომაბეზრებელ ბუზებივით, ნამდვილი რუსები, სხვათა, შორის ამ ბოლო დროს ბ-ნი პლეხანოვიც? საქართველოს რაღა დააშავა, ის რომ მას ჟანდარმი არა ჰყავს დაყენებული დარიალის ხეობაში, ბათუმში კრეისერები არ უდგია და ამგვარები? ეს არის მისი დანაშაული? სხვა რა, რომელს კრიტერიუმს გვიჩვენებთ, ბ-ნნო ინტერნაციონალისტებო, რომელია კრიტერიუმი ერთა ღირსებისა ბოლოს და ბოლოს? თქვენივე ლოღიკით ეს კრიტერიუმი ჟანდარმი გამოდის? ამ შემთხვევაში თქვენ რაღას იზამთ, ახალ მოდის ანარქისტო, საზღვრები ხომ არა გრწამთ? რაღა კრიტერიუმი გრჩებათ ჩემ სალანძღავად?—ის, თქვენ რომ იცით! ან და იქნებ ის გაკვირვებსთ, რომ ამ დიდ სახელმწიფოებში „ეროვნული კითხვა“ არ არსებობს თვით სახელმწიფოს თავი ერისთვის და ამიტომ აქვთ მათ დიდი უპირატესობა და მათი გალაღებული სოციალისტებიც სიტყვას ნაციონალიზმს ჩაგრულ ერთ ახვევენ თავზედ? მაგრამ აქ საკვირველი არაფერია. ინგლისის ერისა და საფრანგეთის ერისათვის ეს ნაციონალური საკითხი გადაწყვეტილია—მიტომ აქვთ-კი გული საგულეს! ისინი თავისუფალნი არიან ეროვნულად! და აბა ერთი ნახეთ საფრანგეთი ან ინგლისი სხვა ერის ხიშტით შეწუხებული ერთს დღესაც კი, და მაშინ ნახავთ სად გაჰქრება საერთაშორისო ძმობა-ერთობის ქადაგება, მაშინ ნახავთ, რა სიდიდისაა საფრანგეთის ერის ეროვნული თავმოყვარეობა, მაშინ ნახავთ, ბრძოლა ეროვნული იქნება თუ კლასსობრივი ქვეყნის თვალ—საფრანგეთში! ან და ერთი თქვენის სიცოცხლით წარმოადგინეთ დღევანდელი რუსის სოციალისტები, პეტერბურგსა და მოსკოვში რომ პოლონელი ჩაუჯდეს და ბრძანება დაუწყოს,—როგორ ჰანგებზედ მორთავენ წრიპინს! ერთი შეხედეთ აგრეთვე ბებელს, გედსაც კი უპირებს თოფის სროლას, გერმანიის საზღვარი რომ კადმოლანოსო, თავგანწირული უნდა იბრძოლოს ს.-დემოკრატებმა, გერმანიის იმპერიას რომ ხელი შეახონო! და იცოდეთ, ბატონებო, ესენი მარტო ეროვნებას კი არ დაიცავენ, განსაკუთრებით გერმანელები და რუსები, არამედ სახელმწიფოს საზღვრებს, სადაც ათას სხვა ერთა თავისუფლება ბარბაროსულად ფეხქვეშაა გათელილი! ამის შემდეგ მე, პატარა ერის წარმომადგენელს, როდესაც არც სხვისი დაჩაგვრა მინდა და არც ჩემი დიდი სახელმწიფო, არამედ ჩემი ერის თავისუფლება,—მე მეძახიან შოვინისტსა და ნაციონალისტს, და თვით კი ინტერნაციონალისტები ბრძანდებიან.

მახლას! ის დრო წავიდა, როცა ფრაზებითა და სოფიზმით ფონს გადიოდნენ, ეხლა სხვა დროა, უკაცრავად, ვერავის მოატყუებენ, ისიც კარგად ვიცით თუ ვინ არის შოვინისტი, ნაციონალისტი და კრუშევანიო! ისიც კარგად ვიცით, თუ როგორი ყალბის ინტერნაციონალიზმია თავის ერის გასუქება და გაძლიერება სხვა ერთა ძარცვა-გლეჯითა და გაუპატიურებით! სკვითთა, სარმატთა, პაჭანიკთა და თუ გინდ ინგლისელთა მონობა რომ არა მსურდეს და მეთაკილებოდეს, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ კრუშევანი ვიყო! კრუშევანები, პურიშკევიჩები, მეშჩერსკები, გრინგმუტები და სხვები დიდ სახელმწიფოებში მოიკითხეთ, ბატონებო, პატარა დაჩაგრული ერები კი ჯერ-ჯერობით თქვენგან „პოგრომის“ მეტს არას მოელიან!

მე ქართველი ვარ და ჩემი თავი არავიზედ ნაკლებად არ მიმაჩნია—არც ინგლისელზედ, არც ფრანგზედ, არც გერმანელზედ და მეტადრე რუსზედ! მე მათი სწორი ვარ და მინდა მათგან სოლიდარობა. თუ ჩაგრული ვარ მათთან, მინდა მათ ბრჭყალებს თავი დავახწიო და მერე შევიდე მათ კავშირებში, თუ მეცა მსურს მათი ამხანაგობა და მათაც სურსთ ჩემთან ერთობა. ამას მეუბნება ჩემი ინტერნაციონალიზმი, ჩემი ეროვნული და საერთაშორისო საკაცობრიო გრძნობა, ეს არის ჩემთვის აუცილებელი პირობა ჩემის სოციალისტობისაც,—აზრითა და გულით ლაქიებმა, მოღალატეებმა და უცისტომოებმა კი თუ უნდათ ბატონთ ფეხები ულოკონ და ეს ეგონოსთ ინტერნაციონალიზმი და სოციალიზმი,—რწმენის საქმეა, ვინ უშლისთ, კაცია და გუნებაო, თავში ებრახუნებაო.

ყოველსავე ერს აქვს არა თუ უფლება ცხოვრებისა, არამედ სურვილიც და ეს უფლება და სურვილი არ განისაზღვრება ჩვენის მეტაფიზიკოსის უმაღლეს თელეოლოგიით. აქ სიმძიმის ცენტრი, დედამიწის ღერძი რა შუაშია,—ეს უფლება განისაზღვრება კაცთა მიერ შემუშავებულ საკაცობრიო მორალით, სწორედ ინტერნაციონალურ მორალით, ეს სურვილი სიცოცხლისა კი ადამიანის ბუნებით, მთელი ერის ისტორიის შეგნებითა და მომავლის განგრძობის აუცილებლობით. როდესაც ადამიანი ან ერი სიცოცხლეს იცავს, მაშინ იგი იმას არა კითხულობს, დაიღუპება თუ არა კაცობრიობა მისის დაღუპვით, თუ არ დაიღუპება, მას სიცოცხლე, ცხოვრება სწადია, იგი ებრძვის სიკვდილს და ეს ბრძოლა, ეს სურვილი კანონიერია და აუცილებელი. გამოაკლეთ ერებს ეს სურვილი თავის შენახვისა და მომავლის განგრძობის, და მთელ ისტორიას, მთელ წარსულს, მთელს აწმყოს, მთელ მომავალს, მთელ სოციალიზმსა და ინტერნაციონალიზმს აზრი დაეკარგება! მერე როგორ! ქართველი ერი რა გამონაკლისს შეადგენს კაცობრიობისაგან, რომ მას ეს სურვილიც წაერთვას თავის თავის შენახვისა,—სურვილი, რომელიც ყოველ ცხოველს აქვს! ან Bâton-ი რა ისეთი მხეცი ნახეთ, რომ მან ეს სურვილი კანონიერად არ აღიაროს, რომ მის მიერ ხმის იმოღება მთელი ერის დაღუპვაზედ, იმ ერის, რომელსაც ის ეკუთვნის, ცოდვა იყოს! არა, ამ უფლებას არავითარი სოციალიზმი არ ართმევს არც ერთ ერს, არც ერთ ადამიანს, და თქვენი წრიპინი და ფრაზების უთავ-ბოლო რახუნი მე ვერ წამართმევს, როგორც ვერავისაც ვერ წაართვა! ან საბერძნეთი და რომი აქ რა შუაშია იმ მხრით, რა მხრითაც მათზედ სპენსერი ლაპარაკობს. შეიძლება რომი და საბერძნეთი რომ სულ არ არსებულიყვნენ, ისტორიის კურსი არ შეიცვლებოდა, მაგრამ აქედან ის არ გამოდის, რომ საბერძნეთში მარათონის ბრძოლა შოვინიზმი იყო, ან არისტიდები, მილტიადები, პერიკლები და დემოსთენები არ უნდა არსებულიყვნენ. უკაცრავად, ბ-ნო კრიტიკოსო, და თქვენ ვერ გაგიგიათ სპენსერის აზრი. სპენსერის აზრით თვით კანონი ევოლიუციისა განსაზღვრულ ხასიათისაა, იგი მისდევს თავის გზას, დამოუკიდებლად კონკრეტიულ, ცალკე განსაზღვრულ მოვლენათა. ეს უკანასკნე-

*) იხ. „ისარი“ № 178.

მაშინათვე წარმოგიდგება გლებ უსპენსკის მიერ ჰუმორიულად აწერილი პროვინციალური სამუსიკო ორკესტრი: ტლანქი, ხმა შეუწყობელი ხორო, ისეთი მჭახე ხმით მყვირალი ინსტრუმენტები, რომლებიც ხმების მაგიერ, თითქო შეშის ნაჭრებს ისროდნენ აქეთ-იქით: და ეს გაშეშებული ხმები „ხარ-ბარკალ-კურტუმ-კისერზე ეცემოდა სამაზრო ქალაქის ბაღში თავისუფლად მოსეირნე ქათმებს, ბატ-ინდაურებს და წვრილ-გოჭიან ღორებს, რომლებიც, ფრიად დაშფრთხალნი, საზარელის კაკანითა და ღრუტუნ-ღრუტუნით აქეთ იქით იფანტებოდნენ; კანტი-კუნტ ადგილობრივ მკვიდრს კი, რომელიც ბაღში ცხვირს შემოჰყოფდა, ეს შეშა-ხმები პირდაპირ ამ შემოყოფილ ცხვირში სცემდა და მსწრაფლ უკუაქცევდა.

რა მიზეზია მერე, რომ ჩვენი ცხოვრების ასპარეზზე ასეთი უვარგისი საქონელი გამოდის? სწორედ ის, რომელიც ცნობილმა მოლა მასრადინამ მოიყვანა, როცა მეგობარმა უსაყვედურა, ამდენი დამპალი ხალვა გასასყიდად ბაზარში რად გამოგიტანიაო. „იმდენი გულ-უბრყვილო და გამოუცდელი ხალხია ამ ჩვენ ქალაქში, რომ მათზე გასასაღებლად არც კი მეყოფა ეს ჩემი დამპალი ხალვაო“—უპასუხა მოლა მასრადინამ.

საქმეც იმაშია, რომ ოხუნჯობას, რაც უნდა დამპალი იყოს იგი, დღეს გულ-უბრყვილო ხალხში გასავალი აქვს, მოსაგები საქმეა, და ამიტომ ასე გაცხარებით ასაღებენ თავიანთ გულის ამრევ საქონელს ჩვენი ქალაქელი მოლა-მასრადინები.

ყურადღებით გადაათვალიერეთ ჟურნალი „შუამავალი“ და ნათლად დაინახავთ, რომ იმის შემთხზველი საცოდავი ოხუნჯისტები თავიანთ ენას და სიტყვა-პასუხს ბაზრის შესაფერად ჰქმნიან, რათა თავიანთ ყალბ საქონელს ეს ბაზარი მოუპოვონ. იმათ სრულებით შეგნებული არა აქვთ, რა წმინდა და სასარგებლო იარაღია მწერლობაში მოსწრებული სიტყვა, ნიჭიერ დაცინვის, ცოცხალის ჰუმორისა და სატირის მკვეთრი სხვა „ყოველდღიურ ჭირ-ვარამის შესახებ თვითეული მოსწრებული სიტყვა, ამბობს განთქმული მწერალი პრესკოტი,—დღე-მოკლე მწერია, რომელიც თავის გესლიან ისარს მტრის სხეულში სტოვებს, თვითონ კი მალე კვდება“. პრესკოტს კარგად ესმოდა, რომ ბევრნაირ მორონტების მაგარი და ტლანქი სხეული განგმირა იქით-აქედან მისეულმა და მტრის სხეულში ჩარჩენილმა ამ პაწია გესლიანმა ისრებმა, ჩვენებურ უვიც ოხუნჯისტებს კი ეს არ ესმით, და მათი ოხუნჯობა უფრო კინტოურ პანღურებს მოგვაგონებს, რომლებსაც ეს უკანასკნელნი განურჩევლად გამვლელ-გამომვლელთ სთავაზებენ ბაზარში ხალხის შესაკრებლად და სამასხარასახარხაროდ.

**ი. ნაკაშიძე.**

# ხოლერა

(დეპეშები)

**პეტერბურგი.** შავი ჭირის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია აცხადებს:

ასტრახანში 11 აგვისტოს ხოლერით ხელ-ახლა ავად გახდა 53 კაცი, გარდაიცვალა 22. 12 აგვისტოს ავად გახდა 42, გარდაიცვალა 17; სულ სენის გაჩენიდან ავად გახდა 289, გარდაიცვალა 103.

ნიჟნი ნოვგოროდში 13 აგვისტოს ორი კაცი გახდა ავად; ერთი საპატიმროში, მეორე—იარმუკაში.

პერმში 11 და 12 აგვისტოს ორი კაცი გახდა ავად და ორივე გარდაიცვალა.

სამარაში 10 აგვისტოს ავად გახდა 4 კაცი. სულ სენის გაჩენიდან ავად გახდა 192 კაცი, გარდაიცვალა 86.

ნიკოლაევის მაზრის ორ სოფელში ავად გახდა 7 კაცი, გარდაიცვალა ორი კაცი.

ცარიცინში ავად გახდა ორი კაცი.

სიმბირსკის გუბერნიის ბაკრატის სადგურზე 10 აგვისტოს ავად გახდა რკინის გზის ერთი მოსამსახურე და გარდაიცვალა.

12 აგვისტოს სამარაში ავად გახდა 10 კაცი, გარდაიცვალა 6.

სოფ. მცკესში ავად გახდა 6 და გარდაიცვალა ორი.

ახალ დინარადკში ავად გახდა ერთი.

ნიკოლაევის მაზრის ოთხ სოფელში ავად გახდა 12 კაცი, გარდაიცვალა 8.

სიმბირსკში ავად გახდა 3 კაცი; ორი მათგანი გემით მოვიდა ასტრახანიდან, ხოლო ერთი ნიჟნი-ნოვგოროდიდან.

ნიკოლაევის მაზრის ექვსს სოფელში ხოლერით ავად გახდა 23 კაცი. 13 კაცი გარდაიცვალა.

ცენგილეევის მაზრის სოფ. იაზიკოვში გარდაიცვალა ორი კაცი.

ჩისტოპოლის მაზრაში 7 აგვისტოს ავად გახდა 4 კაცი.

ჩებოკსარის მაზრის მარიინსკის პოსადში 12 აგვისტოს გარდაიცვალა ერთი ხოლერიანი ავადმყოფი, ნიჟნიდან გემით მოსული.

ნიჟნი-ნოვგოროდში 13 აგვისტოს ავად გახდა 2 კაცი, ვისილსურსკის მაზრის სოფ. იურინში—ორი კაცი.

ბაქოში 12 აგვისტოს გარდაიცვალა ორი კაცი; ერთი—ქალაქში, მეორე—ასტრახანიდან მოსულ გემზე.

# პროვინციის ცხოვრება

—:—

**ოზურგეთი** (გურია). ს. ლიხაურში მამასახლისის მიხაკო გასაძის მოკვლის გამო დასწვეს ხუთი სახლი, სხვათა შორის, გიორგი კონტრიძის, ეტიფანე შაკიშვილისა, სალუქვაძისა და სხვებისა. ამას გარდა გადაახდევინეს სოფელს 2000 მანეთი და ჩააბარეს მამასახლისის ცოლს. კიდევ წლიურად დაუნიშნეს 300 მანეთი.

სოფელ მაკვანეთის მცხოვრებს ნიკოს ითრაშვილს განუცხადებია პოლიციაში, რომ შემოქმედის საზოგადოებამ სიკვდილი გადამიწყვიტაო: ამის გამო 11 აგვისტოს შემოქმედში ეგზეკუცია გაგზავნეს და მოითხოვეს ისინი, ვინც ითრაშვილს დაემუქრნენ. დააპატიმრეს 16 კაცი. დასაჭერნების შესახებ ვადა მისცეს.

10 აგვისტოს აქ დიდის ამბით ამოასვენეს სუფსაში მოკლული სამსონ გოთუა, მოსდევდა სამხედრო მუზიკა. აქედან წაასვენეს ს. ჩიბათში.

12 აგვისტოს სუფსაში ჯარი გაგზავნეს.

11 აგვისტოს ქალაქის ბოქაულმა დაიბარა ოზურგეთის ვაჭრები და გამოუცხადა, არ გაბედონ ნოქრებმა კვირას მთელი დღით დუქნების დაკეტვაო. ამბობენ, ეს საქმე თითონ ვაჭრებმა მოახერხესო. **ბუქნა.**

—

**თელავი.** ამ რამდენისამე ხნის წინად გაზეთ „ისარში“ დაიბეჭდა ბ-ნ კრუს წერილი თელავიდან. ბ-ნი კრუ ეხებოდა კასხელებისათვის ერთ მეტად საჭირბოროტო საგანს. საქმე ის არის, რომ თელავს და თელავის მაზრაში ისე იბღარტა როსტომაშვილის მიერ მოგონებულმა კასებმა, რომ მთელი ხალხის ყურადღება მხოლოდ ამ კასებისკენაა მიმართული. სხვა ყველაფერი დაივიწყეს. თელავს და მის ახლო სოფლებში ოცამდის კასა დაარსდა ვინც არა მცონია, კასსას აარსებს. აქამდის სამარხი კასები ვიცოდით, ეხლაა, როდესაც გამოირკვა, რომ კასების დაარსება მეტად სახეირო რამ არის დამაარსებლისათვის, მისდგნენ და ვინ იცის, რის კასსას არ იგონებენ. ეს მოხუცებულების კასაა, ეს გასათხოვარ-საქორწილებელთა კასაა, ეს ფეხ-მძიმეთა კასაა და ვინ იცის კიდევ, რისას არ მოიგონებენ. ინიციატორებად ხშირად ისეთი ხალხია და ისეთ ხალხის ხელში ტრიალებს საწყალი ფული, რომ სწორე მოგახსენოთ, სანდონი არ არიან. გულუბრყვილო ხალხი კი ბლომად მიაწყდა ამ კასებს. ბ-ნნი ინიციატორნიც ყველას სწერენ. ზოგი სოფლიდაც დადის და ისე აგროვებს წევრებს. ხშირად სწერენ ისეთებსაც კი, რომელნიც საიქიოსი აღარ არიან (ეს მათთვის მეტად სარფაა). ამ კასებმა მეტად გაამრავლა ჭკუაში ერთგვარ მოაჯირეთა. ეს პირნი ეძებენ, რომ ვინმე იპოვონ შესაფერი რომელიმე კასისთვის, ცოტას რასმეს ჰპირდებიან, მასს ან იმის მახლობელს ართმევენ პირობას, რომ მისი კუთვნილი ფული თვითონ გაიტანონ. ამ მხრივ ძალიან გაიწია ივ. როსტომაშვილის მოხუცებულების სამარხმა და სხვა პირების ფეხმძიმეთა კასებმა თელავში იშვიათად შეხვდებით იმისთანა პირს, მეტადრე ქალს, რომ სამი-ოთხი არა ჰყავდეს ჩაწერილი რომელსამე კასაში. ხშირად ხდება, რომ გასასვლელი პიროვნება მიეცემა ვისმეს, შემდეგ იცვლის პირველ პატრონს და სხვის კუთვნილებათ ხდება. ამისთანა მაგალითი ბევრია და არ არის შორს ის დროც, როდესაც ამ კრების მიერ გამოწვეული აუცილებელი სასამართლომდისაც მიაღწევს, რითაც ერთი მეტი ლუკმა შეემატება ჩვენებურ ადვოკატებს. მომეტებულ ნაწილად ეს კასები თავიანთ დანიშნულებას-დახმარებას ვერ ახწევენ, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, ფული ხშირად სულ სხვის ხელში გადადის. ჯერ-ჯერობით უფრო მოქმედებს ივ. როსტომაშვილის სამარხი კასა (ამ ცოტა ხანში იწყებენ მოქმედებას ზემოდ დასახელებული კასებიც), რადგან სადაც კი ეძღური, მოხუცებული და ავადმყოფი იყოს, ყველა ჩასწერა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრიც იხოცება, რისთვისაც ბ-ნ როსტომაშვილს კარგი მოგება აქვს. მთელი თელავი ლაპარაკობს კასებზე და კერძოდ როსტომაშვილზე. ჯერ ვისაც კიდევ თავი არ გაუყვიდნია, ხუთი ექვსი მიცვალებულ ამხანაგის ფული აქვს მისატანი და არ იცის რა ჰქნას. თანაც რწმენა იმისი, რომ ეს და ამგვარი კასები ბოლოს ვერ გააწყევენ—აწუხებს ხალხს. საკვირველი ის არის, რომ კასის დამაარსებლები სანამ ითხოვდნენ ნებართვას, რატომ არ შეჰკრებენ ხოლმე ხალხს, არ გაუზიარებენ თავიანთ აზრს და იმას დასტურს არ მიიღებენ!.. ალბად ეს მათთვის სარფა არ არის. ისინი ვაჭრებივით იქცევიან.

**ნინიამლევლიშვილი.**

## თეატრი და ხელოვნება

—

**ქართული წარმოდგენა** ოთხშაბათს, 15 აგვისტოს ძმ. ნიკიტინის თეატრში სპარსეთის ქართველების ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილისა და ყულამ რეზა ხუციშვილის პატივსაცემად და გამოსათხოვებლად გამართა წარმოდგენა. წარმოადგინეს „ღალატი“, დრამა სუმბათაშვილისა. სცენის სიპატარავემ და მოუწყობლობამ ხელი შეუშალა არტისტებს პიესა კარგად წარმოედგინათ. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველ მსახიობთა ქრონიული სენი—როლის უცოდინრობა და გაურკვეველი ქართული ლაპარაკი—უმრავლესობას ახლაც განუყრელად თან ახლდა. აბაშიძის და გამყრელიძის ნიჭიერმა და დაკვირვებულმა თამაშობამ ასე თუ ისე გამოიხსნა სხვების ნაკლულევანება. კარგი იყო ზეინაბიც, მისმა ბუნებრივმა თამაშმა ზოგიერთ მომენტში მაყურებელი დაიმონავა. გამოცხადებული იყო, რომ ოთარ ბეგის როლს ბ. გუნია ითამაშებსო, გამოცხადებული იყო, ნამდვილად კი გუნიამ ალი რაზაკის როლი ითამაშა. ალბად, ნავადმყოფარს მსახიობს ჯერ ღონე არ შესწევს მძიმე როლის თამაშობა. დივერტისმენტში ხუციშვილმა და ონიკაშვილმა ლეკური [illegible] კაშელი გამოეთხოვა ქართველ საზოგადოებას. ხალხმა [illegible] ტაშის ცემით დააჯილდოვა.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

რ უ ს ე თ შ ი.

14 აგვისტო

**პეტერბურგი.** 12 აგვისტოს სასამართლომ მეთქმულების საქმის გამო განაგრძო მოწმეთათვის ჩვენების ჩამორთმევა. 13 აგვისტოს მეშვიდე სხდომა დაიწყო სამხედრო პროკურორის ილინის ჩვენებით. დამატებითი ჩვენება ჩამოართვეს ბრალდებულს ნაუმოვს. როცა ნაუმოვი ლაპარაკობდა, ზავადსკი დარბაზიდან გაიყვანეს. ზავადსკის ვექილის ბაზუნოვის თხოვნით წაიკითხეს და საქმეს მიაკრეს პირობის წერილი, ზავადსკის მიერ ბინის დაქირავების დროს შეკრული, სათაურები მისის სამეცნიერო შრომათა, ცნობანი მისის სამეცნიერო მიზნით მოგზაურობისა და გაზ. «ნოვოე ვრემია»-ს 1907 წლის 9 მაისის ნომერი. ვექილი ზატრუდნის თხოვნით, ჩვენება ჩამოართვეს პროკოფიევის მამას, შემდეგ ბრალდებულს ტარასოვს. სამხედრო პროკურორის თანაშემწის განცხადებით, ნაუმოვი დარბაზიდან გაიყვანეს. ჩვენება ჩამოართვეს ნიკიტენკოს. ნაუმოვი ისევ შემოიყვანეს; ნიკიტენკოს ჩვენება წაიკითხეს და ნაუმოვს დამატებითი ჩვენება ჩამოართვეს. ვექილების თხოვნით სხდომა შესწყვიტეს, რომ დამცველებს ურთიერთშორის საჭირო თათბირი მოეხდინათ. სხდომის განახლებისათანავე დამცველებმა მოითხოვეს ახალ მოწმის გამოძახება, რაც, თანახმად პროკურორის აზრისა, დააკმაყოფილეს. სხდომის ხელ-ახლა შეწყვეტის და განახლების შემდეგ დამატებითი ჩვენება ჩამოართვეს ნაუმოვის ძმებს, ალექსანდრეს და ნიკოლოზს, ჩვენება ჩამოართვეს აგრეთვე ახლად გამოძახებულ მოწმეს. ნაშუადღევის $4\frac{1}{2}$ საათზე გამოძიება გათავებულად გამოაცხადეს და დაიწყო კამათი. პირველად ილაპარაკა სამხედრო პროკურორის თანაშემწემ პოდპოლკოვნიკმა ილინმა, მისი სიტყვა სამს საათს გაგრძელდა. მერე ილაპარაკეს სამხედრო პროკურორის თანაშემწემ პოლკოვნიკმა მებენკომ და ფედოსიევის ქალის დამცველმა მაკლაკოვმა. საღამოს 10 საათზე სხდომა შესწყდა. შემდეგ სხდომა 14 აგვისტოს მოხდება.

საპატიმროს უფროსის ივანოვის მკვლელმა თავის ვინაობის გამოცხადებაზე უარი სთქვა. განაცხადა მხოლოდ, რომ ჩრდილოეთის მებრძოლ რაზმის წევრი ვარ და ს.-რევოლიუციონერების პარტიას ვეკუთვნიო. შეკრებილ ცნობებით, იგი ფინლიანდიიდან ჩამოვიდა.

**ბალტა.** მიწის მომწესრიგებელმა კომისიამ საგლეხო ბანკს ბალტის მაზრაში

---

ლები მხოლოდ მასალაა დიდის საერთო კანონის დემონსტრაციისათვის, მაგრამ თვით შინაარსი ისტორიისა ამ კონკრეტულ მოვლენათა მსვლელობაშია, და სწორედ მიტომაც ხდება ეს მოვლენანი დიდ საერთო კანონის დემონსტრაციის მასალად. რომი და საბერძნეთი რომ არ არსებულიყვნენ, შეიძლება მსოფლიო ისტორიის კურსი არ შეცვლილა, მაგრამ იგინი არსებობდნენ და ამ მსოფლიო ისტორიის კურსის მიმართულება ჩვენთვის რომისა და საბერძნეთის ისტორიითაც შეიგნება.

აი, სპენსერის აზრი. აგრეთვე, მართალია, საქართველო რომ არ არსებულიყო, მის მაგიერ სხვა იქნებოდა, ამითი აბსტრაქტული ისტორიული კანონები არ შეიცვლებოდნენ. მაგრამ აქედან ის დასკვნა სრულიადაც არ გამოდის, რომ საქართველოს დაღუპვას წუხილი ქართველისათვის შოვინიზმია, ან ის, რომ ჩვენ არცა გვაქვს და არც უნდა გვქონდეს სურვილი სიცოცხლისა და თავის შენახვისა! ასეთი სისულელე ჯერ არავისგან გვსმენია და თუ გავიგონეთ, რასაკვირველია, გადაშენების გზაზედ დამდგარ საქართველოში!

ჩვენ ვფიქრობთ და ვნებანი გვაქვს, მაშასადამე, ჩვენ ვარსებობთ, და უფლებაც გვაქვს არ მოვკვდეთ; თუ დაღუპვას ვამჩნევთ, უნდა ვეცადოთ, რომ არ დავიღუპნეთ და უკანასკნელ სისხლის წვეთამდის შევინახოთ ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი ინდივიდუალობა! ვინ, რომელი სოციალიზმი გვართმევს ამ უფლებას? მე ვამბობდი, მთელი ასის წლის განმავლობაში ვანდალებივით ფეხ ქვეშ სთელავდნენ ჩვენის ისტორიის უკანასკნელ ხანაში, ჩვენ სიცოცხლეს და გადაშენების გზაზედ დავდექით მეთქი! მე ვამბობდი—ამას წამალი უნდა მეთქი, შესაფერი წამალი, რომ კვლავ აღვსდგეთ სიცოცხლით სავსე და ღირსნი ვიყვნეთ საერთაშორისო კავშირში შესვლისა მეთქი; ჩემი მოწინააღმდეგე კი გამოსულა და შოვინისტს მეძახის! იცით, ბატონო, რა არის შოვინიზმი? თუ ისე გაგიგონიათ სიტყვა და ნარდად არახუნებთ?

მე ვამტკიცებ და თქვენც დამეთანხმებით, იმედია, რომ არსებობს საზოგადოება თავის ორგანოებით, არსებობენ საზოგადოებანი, რომელთა შორის ათასნაირი კავშირია. იყო ქართული საზოგადოებაც, ეხლა იგი აღარ არის, იგი მოჰკლეს ძალით, მოუსპეს რა მთელი ორგანოები. ეხლა საკითხავი ის არის—მივანებოთ თავი ჩვენის საკუთარის საზოგადოების აღდგენას, თუ ვეცადოთ, რომ იგი კვლავ აღსდგეს? ვნახოთ რა გამოდის პირველიდან და მეორედანაც. თუ თავი მივანებეთ ჩვენის საზოგადოების აღდგენას, ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა დავანებოთ თავი ჩვენის ტერიტორიის დაცვას, უნდა დავანებოთ თავი ჩვენ ეკონომიურ განვითარების ხელის შეწყობას, უნდა დავანებოთ თავი ქართულ ხელოვნებას, მეცნიერებას, ქართულად და ქართველ ხალხისთვის შესაფერ იურიდიულ მოწყობილობას, უნდა დავანებოთ თავი ქართულ პოლიტიკას, აღარ უნდა გვქონდეს სურვილი ქართული პოლიტიკურ ცხოვრების ნამდვილ გაუმჯობესებისა და რაციონალურად გარდაქმნისა,—დე-გრეფის კლასიფიკაციით, ბ. ქარიშხალისტო, რომელიც თქვენ არ მოგწონთ! ეს იმას ნიშნავს, რომ თავი უნდა მოვიკლათ! აბა მე სწორედ ამას ვამჩნევ ჩვენ საზოგადოებაში და ამაზე მიკვდება გული, ამას ვუწოდებ გადაშენებას. ეს, რასაკვირველია, უმეცართათვის ნაციონალიზმია! კარგი და პატიოსანი, იყოს, სიტყვა არ გვაშინებს, განსაკუთრებით ისეთი სიტყვა, რომელსაც ყუმბარებათ გვესვრიან და ჩვენ არა გვხვდება. მაგრამ გვეტყვიან,—მოიცათ, ჩვენ ხომ შეგვიძლიან განვავითაროთ ლიტერატურა, ხელოვნება და სხვა უიმისოდ, რომ პოლიტიკა და ტერიტორია არაფერ შუაში იყოსო? ეს არის მათი პასუხი, ეს საცოდავი და სულელური პასუხი ყოველთვის! გვეტყობა, როგორც განვავითარეთ ყოველივე ეს ამ ას წლიწადში, გვეტყობა ლაპარაკში, გვეტყობა წერაში, ცოდნაში, მეცნიერებაში და ხელოვნებაში, გვეტყობა სიმდიდრეში და სხვაში! უბედურო და საცოდავო კრიტიკოსო! შეხედეთ თქვენ ნაჯღაბნს, მაგალითად, რას წარმოადგენს იგი, ვის ესმის, ვინ წაიკითხავს და ვინ გაიგებს? თქვენ თვითონ გესმით? ან დაუფიქრდით, ვისთვისა სწერთ? ან იქნებ არ გეკადრებათ ქართული ჯღაბნა, და თქვენი მოთხოვნილება რუსული ან ფრანგული წერა იყოს? ერთი სინჯეთ და მაშინ ნახავთ, რა გამოგივიდეთ, რა დასწეროთ, რა მოსჩმახოთ, ან რუსულად, ან ფრანგულად! დიახ, თქვენი წერის მაგალითიც ჩვენთან ყველასთან ერთად ცოცხალი მაგალითია ჩვენი მწერლების გადაშენებისა, და მიზეზი ამისი არის გადაშენება ენისა, გადაჩვევა ქართულად ფიქრისაგან, რაიც თავის მხრით ჩვენი ეროვნულის ჩაგვრით, ჩვენის საზოგადოების ორგანოთა მოსპობით არის გამოწვეული! ამას ვერავინ ვერ უარ-ჰყოფს, და ვერც „მას დაამტკიცებს“ ვერავინ, რომ საზოგადოების ორგანოთა ნაწილობითი აღდგენა შეიძლებოდეს ძველანდელ პირობებში,—შეიძლებოდეს აღდგენა ქართული კულტურისა, ენისა და მეცნიერებისა იმ პირობებში, რა პირობებშიაც ვიყავით და ვართ! ეს არგუმენტი არ არის, არამედ მტკნარი უვიცობა და სისულელე, რომ თანაც რუსის სახელმწიფოებრივობის განუსაზღვრელი სიყვარული არ იყოს, ე. ი. ნამდვილი შოვინიზმი და ჟანდარმული ნაციონალიზმი! თქვე დალოცვილებო, რა კაი სახელმწიფოებრივობა აქვთ მაინც და მაინც რუსებს, რომ იმის დასაცველად გუშინდელ ამხანაგებსაც აღარა ზოგავთ არაფრის!

ასევე ითქმის ჩვენის საზოგადოების ყველა ორგანოებზედ. რაც შეეხება ტერიტორიას, ამაზედ კიდევ უფრო არ შეიძლება ნარდად მსჯელობა. ვერავინ ვერ დამარწმუნებს, რომ რუსის გლეხი ხვალ განახორციელებს სოციალიზმს. მანამ კი ჩვენი ტერიტორია მთლად სხვის ხელში გადავა, თუ არა უშველეთ რა, და მერე იცით, რა მოჰყვება ამას? თუ თქვენებურმა ინტერნაციონალისტ-კრუშევანებმა არ გაჟლიტეს სამი მილიონი ქართველი, მაშინ ამ ხალხიდამ ან მილიონი ყაჩაღი გამოვა, ან რუსის პროლეტარიები, ან ურიები. პირველი და მეორე თუ შესძინეთ კაცობრიობას, ვერაფერი სასიქადულოა, სოციალიზმი ამისთვის ტაშს არ დაგიკრავთ, ხოლო თუ ქართველი ხალხი ურიად გადააქციეთ,—იცოდეთ ურიაობა არც ავრე ადვილია, მას დიდი ნიჭი უნდა. მაგრამ ესეც იცოდეთ, რომ ურიას ყველა სძულს და იგი ყველასა სძულს, იმიტომ რომ დევნილია ყველასგან. ყოველ გარეულ და ტერიტორია-დაკარგულ ხალხის ბედი ასეთი იყო ისტორიაში, ქართველის ბედი უარესი იქნება. აბა მაშინ უყურეთ „პოგრომებს“, რომელნიც ახალ მასალას გაიჩენენ! აბა მაშინ უყურეთ ქართველ „დაშნაკ-ცაკანებს“, რომელნიც ისე სძულს ავტორს, მაშინ უყურეთ მათ „თათრებთან“ შეტაკებას, მაშინ უყურეთ შოვინიზმსა და ნაციონალიზმს! . ეჰ! განუსჯელნო, თქვენ თითონაც არ იცით, რასა როტავთ. რომ გულწრფელად სწავლობდეთ ისტორიას, რომ ნარდად არ არახუნებდეთ დაზეპირებულ ფორმულებს, რომელნიც არ გესმით,—მაშინ დაინახავდით, რომ საშინელი ბრძოლანი ისტორიაში, თანამედროვე „პოგრომები“ და „დაშნაკ-ციუთუნები“ ცხოვრების სიღრმიდან არიან გამოწვეულნი, რომ მათ მიერ წამოყენებულ პრობლემებს უბრალო პროკლამაცია და მასში გამოცხადებული სოლიდარობა ვერ გადასწყვეტს, რომ უმთავრესი მიზეზი ყველა ამ მოვლენის არის **ტერიტორიისათვის ბრძოლა, ტერიტორიის უქონლობა.** ის მაინც მოიგონეთ, რომ ებრაელებმა სიონისტების პარტიაც კი შეადგინეს და სადმე ცალკე უნდოდათ დასახლება, რომ ვეღარ გაუძლეს ორი ათასის წლის დევნას; ის მაინც მოიგონეთ, რომ ამ ორ წელიწადში მილიონზე მეტი ებრაელი გადასახლდა ამერიკაში რუსეთიდან, რომ ვეღარ მოითმინეს „პოგრომებს“, და ვინ იცის კიდევ რა მოელით მათ ამერიკაშიაც შემდეგ! ის მაინც მოიგონეთ, რომ საწყალი სომხის ერი მშვიდობიანი და მოვაჭრე, სისხლის მსმელ მეომრებად გადააქცია მიწის უქონლობამ და ოსმალთა მიერ ვერაგმა ჩაგვრამ! მაგრამ თქვენთვის ხომ ფაქტები ან არ არსებობენ, ან არ გესმით, და ჩვენი შეუდარებელი ინტერნაციონალისტები სწორედ ამ საშინელებას უქადიან ქართველებს, როცა ტერიტორიის შენახვას აქცევენ უმთავრეს ყურადღებას და უკიჟინებენ მათ, ვინც ამას სამართლიად სჩადის.

Bâton.

(შემდეგი იქნება)

მიჰყიდა ხუთი მამული, ზომით 2347 დესეტინა.

**ხმოლენსკი.** ელპინსკის მიწის მომწესრიგებელ კომისიას ბანკმა გარდასცა გლეხებისთვის 4100 დესეტინა ადგილი.

**ვილნო.** დისენის მაზრაში საგლეხო ბანკმა 2143 დესეტინა მიწა ხუტორებად გაჰყო. ეს მამული შეძენილია ბანკის მიერ 1903 წელს.

**ვორონეჟი.** დააპატიმრეს არაკინი, რომელმაც მძიმედ დასჭრა ნოვოხოპერის მაზრის მემამულე, გენერლის აზვედროვის ცოლი.

**ირკუტსკი.** აგარაკიდან 17 ვერსის მანძილზე მოჰკლეს ოქროს მადნის პატრონი ზახაროვი. ზახაროვს თან მიჰქონდა 6 გირვანქა ოქრო. ოქრო გაიტაცეს.

**ბახმუტი.** მიხაილოვის მადანში მადნის მეარტელის სახლში ყუმბარა შეაგდეს. ყუმბარამ საშინელის ხმით იფეთქა, მეარტელე მოკვდა, მისი ცოლი დაიჭრა. მსროლელნი მიიმალნენ.

**ეკატერინოსლავი.** ბახმუტის მაზრის «ვესელაია გორა»-ს მამულში მოჰკლეს მემამულე კრუპკო. წაიღეს 5000 მანეთი.

**ბელგოროდი.** საეროზო ხმოსნებად აირჩიეს მემარჯვენენი.

**ივანო-ვოზნესენსკი.** 11 აგვისტოდან ქალაქის მახლობელ სოფელ სერდაში გაფიცულია 2500 მუშა გორბუნოვების სართავ ფაბრიკისა. მოთხოვნილებანი ეკონომიურია. მათის უქონლობისა გამო 16 აგვისტოს საქსოვი ფაბრიკა შეჩერდა. ფაბრიკაში 3000 მუშა.

**ადესა.** გენ.-გუბერნატორმა ერთი თვიდან ორ თვემდე დააპატიმრა რუსის კავშირის 9 წევრი ქუჩაში სროლისა და საზოგადო მყუდროების დარღვევისათვის.

**პეტერბურგი.** საერო განათლების მინისტრი 1908—1909 წლის სამოსწავლო წელში საკანონმდებლო წესით შეიტანს საკითხს საოსტატო ინსტიტუტთა რეფომის შესახებ.

საერო განათლების მინისტრმა ცირკულიარით აცნობა, ვისდამი ჯერ არს, რომ საოსტატო ინსტიტუტში მიღების დროს უპირატესობა სოფლის მასწავლებლად ნამყოთ მიეცეთ.

**ტულა.** გარდაიცვალა ამ დღეებში დაჭრილი საპატიმროს უფროსის თანაშემწე სტრუკოვი.

**ხერსონი.** დილის 9 საათზე ხერსონის საგუბერნიო საპატიმროს უფროსი საპატიმროში მიდიოდა. ესროლეს ყუმბარა. უფროსი მსუბუქად დაიჭრა. ყუმბარის გადამგდები შეიპყრეს. მეორემ რევოლვერით მოჰკლა გოროდოვოი, რომელიც დასაჭერად მისდევდა, და დასჭრა მეეტლე, რომელმაც წაყვანაზე უარი განაცხადა. უცნობს მეორე გოროდოვოი გამოუდგა და მოჰკლა.

**ლოძი.** ზგერუსკის ქუჩაში მძიმედ დასჭრეს ჟანდარმთა უნტერ-ოფიცერი.

**ივანოვ-ვოზნესენსკი.** 13 აგვისტოს ღამე ათი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა ერმოლინას სადგურს. მოჰკლეს ტელეგრაფისტი, გაიტაცეს 30 მანეთი კასიდან, 315 მანეთი ბუფეტიდან. დასტოვეს ორი ყუმბარა.

**პერმი.** 14 აგვისტოს ღამე, ტურანის მადნებში გასძარცვეს ფოსტისა და ქარხნის კონტორები. ფოსტიდან წაიღეს 1500 მანეთი. ქარხნიდან რამდენი წაიღეს, ჯერ არ იციან. უცნობებმა ხუთი ყუმბარა გადააგდეს.

**მინსკი.** იგუმნის მაზრაში ორი კაცი თავს დაეცა კათოლიკის მღვდელს ბლონსკის, გაძარცვა ვერ მოახერხეს. როცა პოლიცია გამოედევნა, მძარცველებმა ყუმბარა გადააგდეს. ყუმბარის ხმამ პოლიციელები გამოაყრუა. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს. იპოვნეს ასაფეთქებელი მასალა.

**პეტერბურგი.** გამოაქვეყნეს ის წესი, რა წესითაც გლეხებს უნდა მიჰყიდონ ვოლსკის საუფლისწულო ოლქში 248,000 დესეტინა ადგილი.

სამხედრო ოლქის სასამართლოში მეთქმულობის საქმის შესახებ მერვე სხდომაზე კამათი განაგრძეს. სიტყვა წარმოსთქვეს სოფიო ფედოსიევის დამცველმა ანდრეევსკიმ და ნიკიტენკოს დამცველებმა ანდრონიკაშვილმა და ნიკონოვმა. სხდომის განახლების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვეს სინიავსკის (წინად პუშკინად იწოდებოდა) და ანნა პიგიტის დამცველმა სოკოლოვმა. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვეს ნაუმოვის დამცველებმა ელისეევმა და მურავიოვმა და პროკოფიევის ქალის და ცოლ-ქმარ ტარასოვების დამცველმა ზარუდნიმ. 10 საათზე სხდომა შესწყდა.

16 აგვისტოს.

**პეტერბურგი.** უმაღლესის ბრძანებით, ერთის წლით კიდევ განეგრძო გაძლიერებულ დაცვის წესები ხერსონის გუბერნიაში, ქალაქ ხერსონისა და იმ მაზრების გარდა, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული, აგრეთვე გუბერნიები პოდოლისა, ვოლინისა, პასტუხოვის რკინის ქარხანა, დონის ოლქის ჩერკასკის მაზრა, პოკროვსკი და შუისკი მაზრები და ივანო-ვოზნესენსკი ვლადიმირის გუბერნიაში.

იქ კი, სადაც საგანგებო წესები გამოცხადებული არ არის, უნდა იმოქმედო სახელმწიფოს დაცვის შესახებ დებულების მე-28, 29, 30 და 31 მუხლების თანახმად

**პეტერბურგი.** ზოგიერთ გაზეთში გამოცხადებულია, ვითომ რუსეთს იაპონიასთან რამე საიდუმლო, რუსეთისთვის საზარალო, კავშირი შეეკრას. ჩვენ დავალებული გვაქვს გამოვაცხადოთ, რომ ეს ამბავი სიმართლეს მოკლებულია.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში შეიტანა კანონ-პროექტი სამინისტროსთან არსებულ თავად-აზნაურთა საქმეთა განსაკუთრებულ კანცელარიის გაუქმებისა და თავად-აზნაურთა საქმეების შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელიარიაში გადატანის შესახებ.

**მოსკოვი.** გრაფ შერემეტიევის მამულში კუსკოვის მახლობლად იპოვნეს ერთი ყუთი, რომელშიაც იყო 23 ყუმბარა, ბევრი ფიტილი და ყუმბარისთვის საჭირო სხვა ნივთები.

**არზამასი.** აღმოაჩინეს საიდუმლო ბინა, მებრძოლი რაზმისა. რაზმის ერთი წევრი დააპატიმრეს.

**ლოძი.** ეთვაზერტის მატყლის ფაბრიკა პატრონებმა დახურეს. მიზეზი მუშების მიერ ზილბერშტეინის ფაბრიკის ოსტატის საქმით შეურაცხყოფაა. პირველ ქარხანაში 400 კაცი მუშაობდა, მეორეში 1500.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ საჭიროდ სცნო, რომ 1907 წლის 1 სექტემბრიდან 1908 წლის 1 ივლისამდე სოფლის საზოგადოებებმა. სახელმწიფო მიწის ბაჟთან ერთად გადაიხადონ ამდენივე გამოსაკვებ და სათესლედ გაცემულ სესხის დასაფარავად.

**სევასტოპოლი.** ვორობიოვის სახლის ბუხარში ყუმბარა აფეთქდა. დაშავდა ხუთი კაცი. სახლის პატრონი დააპატიმრეს.

**ტომსკი.** ბიისკიდან 6 ვერსის მანძილზედ გაძარცვეს ბარნაულის ფოსტა. მოჰკლეს ფოსტალიონი და მეეტლე.

**იალტა.** გრაფ მორდვინოვის მემკვიდრეებმა მიწის მომწესრიგებელ კომისიას შეატყობინეს, ბაიდარის ველის 36,000 დესეტინა მიწას თათრებს დაუთმობთ, დესეტინას 40 მანათადაო.

13 აგვისტო.

**უცხოეთში.**

**ხაკოდატე.** 18 აგვისტოს დილით ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლმა ქალაქის სამი მეოთხედი იმსხვერპლა. ამერიკის საელჩოს გარდა ყველა საელჩო დაიწვა.

**დუბლინი.** გამოაქვეყნეს მთავრობის განკარგულება, რომლის ძალითაც ირლანდიის მეფის მოადგილეს უფლება ექმნება საგრაფოებში ამბოხების დროის წესები გამოაცხადოს და საცა საჭირო იქმნება, პოლიციაც გააძლიეროს

**ნიუ-იორკი.** როგორც პეკინიდან იუწყებიან, იუანშიკაი ჩქარა თავს დაანებებს პეჩილიის მეფის მოადგილის თანამდებობას და სამხედრო სამინისტროს ჩაიბარებს. ქვრივმა დედოფალმა პეკინში სათათბიროდ დაიბარა ჩან-ჩიტ-ტუნგა და იუანშიკაი. მოილაპარაკებენ მანჯურელებისა და ჩინელების ურთიერთ შორის სიმულვილის შესახებ.

**თეირანი.** აქ მიღებულის ცნობებით, გენერალი სამჩანდოული და რამდენიმე სპარსელი აფიცერი ოსმალებმა დაატყვევეს და შემდეგ დახოცეს. ბევრი ქალი, კაცი და ბავშვი ამოულიტეს და ბევრიც ტყვედ წაიყვანეს, ჯამეები დაანგრიეს, ქონება დაიტაცეს. ოსმალოს ჯარის რიცხვი მატულობს და უკან დაწევაზე არაფერი არ ისმის. ურმიიდან 13 აგვისტოს სამღვდელოებამ მეჯლისს დეპეშა გაუგზავნა. მეჯლისს შემწეობას სთხოვენ.

**ლონდონი** «დეილი ტელეგრაფ»-ს ატყობინებენ კაზაბლანკიდან, 12 აგვისტოს გენერალმა დრიუდმა გადასწყვიტა დაიწყოს მტრის წინააღმდეგ მოქმედება. გენერალს სურს მაროკელებზე ტანჟერიდან მოულოდნელი იერიში მიიტანოს. მტერს ალყას შემოარტყამს 3000 ფრანგი 8 ზარბაზნით და რამდენიმე ტყვიის მფრქვევლით. ტადდერტში 10,000-მდე მაროკოელი ჯარია.

**ტანჟერი.** ოფიციალური მაროკოელი წრეები დიდად დააფიქრა მულაი-გაფიდის სულთანად გამოცხადებამ.

**ტოკიო.** წყალდიდობას უფრო მეტი ზარალი მოუტანია, ვიდრე ეგონათ. კოკაიდოს და ცენტრალური რკინის გზა ოც ალაგას არის გაფუჭებული. კერძო პირთა ზარალი რამდენსამე მილიონს უდრის.

**ლანგფორდი.** (ირლანდია). დააპატიმრეს პარლამენტის წევრი ფარრელი და 400 კაცი. დაპატიმრებას კავშირი აქვს ირლანდიაში გლეხთა არეულობასთან.

**ხტამბოლი.** სპარსეთის ელჩის ეცნობა, რომ ოსმალეთმა ბრძანება გასცა ჯარი წავიდეს სპარსეთის საზღვრებიდან და ადგილობრივ გაიგზავნოს საგამომძიებლო კომისია, კომისიის თავმჯდომარედ იქმნება ბითლისის ვალი თაგირ-ფაშა.

**ლონდონი.** ზემო პალატა. საზოგადოებათა პალატამ არ მიიღო ზემო პალატის შესწორებანი, შეტანილი მიწის კანონპროექტში. ამიტომ ლორდთა პალატა იძულებული გახდა დაემტკიცებინა კანონპროექტი და თანახმად საზოგადოებათა პალატის პროექტისა. პალატები შეთანხმდნენ ირლანდიის გადასახლებულ მოიჯარადრეთა შესახებაც. მთავრობის აზრით, კანონის მნიშვნელობა დამცირდა იმ დათმობით, რაც საჭირო შეიქმნა, რომ ლორდთა პალატას მიეღო იგი.

„დეილი-მეილ"-ს აუწყებენ ტოკიოდან, რომ წყალ დიდობა ძლიერდება. მარტო ერთად-ერთ გუმას ოლქში 18 000 სახლი დაჰფარა წყალმა, 49 კაცი დაიხრჩო და 250 უგზო უკვლოდ დაიკარგა.

„ტრიბუნ"-ის კორესპონდენტი იუწყება ტანჟერიდან, რომ სულთანი აბდულ-აზიზი თავისს სასახლეში მოჰკლესო.

**დუბლინი.** ოფიციალურ გაზეთში გამოცხადებულია, რომ დუბლინის, კლერის, გალდეს, კილკენის, ვეიტრიმის, ლანგფორტის და პასკამინის საგრაფოებში ამბოხების დროის წესებია გამოცხადებული და პოლიციელთა რიცხვიც გაძლიერებულიაო.

**ბერლინი.** 14 აგვისტოს ერთსა და იმავე დროს ორი ჰაეროსტატი აფრინდა. ერთი სამხედრო ჰაეროსტატი, მეორე მატორით მმოძრავი მაიორის პარსევალისა. პირველი შპანდაუმდე მივიდა და ერთის საათის შემდეგ უკანვე დაბრუნდა. შემდეგ კარგა ხანს ივარჯიშა, მაღლა აფრინდა და დაბლა დაეშვა. პარსევალის ჰაეროსტატი ძლიერი ქარის წინააღმდეგ გაფრინდა. გაემართა ტაგელისკენ, ისევ უკან დაბრუნდა და დაბლა დაეშვა სამხედრო ჰაეროსტატთან ერთად. ორივე ჰაეროსტატის მატარებელი მშვენივრად მუშაობდნენ. საჭე ჩინებულად ასრულებდა თავისს დანიშნულებას.

16 აგვისტო.

**ანტვერპენი.** ნავთ-სადგურის გაფიცულმა მუშებმა კრებაზე დაადგინეს: 15 აგვისტოს გაათავონ გაფიცვა. 15 აგვისტოს საქმეს დაადგებიან მუშები, გარდა პურის დამტვირთველებისა და დურგლებისა, რომელნიც აგერ რამდენიმე კვირაა, რაც გაფიცულნი არიან.

**სოფია.** 15 აგვისტოს დაიწყო საიუბილეო დღესასწაული. იკრიბებიან ბოლგარიის ქალაქის თავები, სოფლის სტრაჟნიკები და იმ საერო კრების წარმომადგენელნი, რომელთაც ფერდინანდი აირჩიეს ბოლგარიის მთავრად. ფერდინანდმა ხალხს მანიფესტით მიმართა და 3 მილიონი ფრანკი შესწირა ფილტვებით ავადმყოფთა სანატორიუმის გასამართავად.

**კალკუტა.** სასამართლომ გაარჩია ორ ნაციონალისტ მოხალისეს საქმე. მათ აბრალებენ პოლიციელებზე თავ-დასხმას ინგლისელებისადმი ბოიკოტის გამოცხადების წლის თავზე. საქმის გარჩევის დროს სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა არეულობა მოახდინა. სტუდენტები ქუჩაში გაიყვანეს, მაგრამ იქაც მოხდა შეტაკება პოლიციასთან. ხალხი ცხენოსან პოლიციელებმა გაფანტეს. ლიდერმა პეკინმა სასამართლოში ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადა, ამიტომ იმას სასამართლოში მისცემენ სამართლის უპატივცემლობისთვის

რედაქტორ-გამომცემელი

ე. ბელიშვილი.


# განცხადებანი

**მასწავლებელთა საყურადღებოთ!**

**„არითმეტიკული კრებული"**

ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ. მეორე ნაწ. «კრებულისა», (მისივე)—40 კ.

**ქართული წერის დედანი**

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კ.

ამ დედანთან სახმარებელი რვეულები I და II №—3 კაპ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი **ქართული წიგნები** და **სკოლებში სახმარებელი ქართულ რუსული სახელმძღვანელოები.**

მსურველს ფას დადებითაც გეგზავნება მისამართი: Тифлисъ книжн. магазинъ „ЦОДНА".

მაღაზიის პატრონი **ხოსიკო მერკვილაძე.** (20—193—17)

წიგნის მაღაზია

**„ნოვაია რეჩ"**

(ახალი სიტყვა)

გოლოვინის პროსპექტი. სახაზინო თეატრის პირდაპირ.

მიღებულია სახელმძღვანელოები

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ყველა სასწავლებლებისათვის.

**მასწავლებლებს სახელმძღვანელოები 10% ნაკლებ დაეთმობათ.**

10—4.

პირველი კერძო საავადმყოფო

**დოქ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1889 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**ექიმები:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ფ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ჟ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საზებრო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ბეგლარიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პეტრიაშვილი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გელდიაშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შერშნიანინა:** $1^{1}/_{2}$—2 საათამ. საზებით და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვა;** 1—2 საათ. ქალებისა და საზებით.

**საღამოთი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. საავადმყოფოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.** (150—ხალ.—134)

# მიწა

**დუქნებით გოლოვინის პროსპექტის** ახლო იაფად იყიდება (132 ოთხკ. საჟენი) პირობათა გაგება შეიძლება სუდებნი ქუჩაზე №36, ბინა პოლკოვ. **ტერ-გაზაროვისა.** (3—247—1



მანეთ ნახევარი

# დღეში

**და მეტიც იმ კაცებს და ქალებს,** რომელნიც მოისურვებენ შინ მუშაობას მსწრაფლ სახვევ მაშინაზე. ამ მუშაობას მსურველი ხელადვე შეითვისებს, მოუმზადებლად. მასალას ჩვენ ვაძლევთ და მუშაობაში ნაღდათ უსწორდებიან. მანძილი არ უშლის. პირობებს უფასოდ ვატყობინებთ.

ადრესი: ცენტრალური კანტორა, ნიკოლოზის ქუჩა, ს. № 9. (100—210—11)

## პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის!



# კალოშებისა

**და სხვა რეზინის საქონლისათვის**

## უმაღლესი ჯილდო

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას", რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭედს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860" და სიტყვა „ს.-პეტერბურგს", რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

# ლეოპოლდ ნეიშელლერ.

პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესასა, ეკატერინბურგსა

## ტფილისში,

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში.

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთულ ტყავისა. (100—50)


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.